**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საკონკურსო კომისიის სხდომის**
**ოქმი N2**

ქ. თბილისი 9 იანვარი 2015 წ.

**შესყიდვის საგანი:** ქ. გორში, მოსკოვის ქუჩაზე არსებული 8 971.0 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი (საკადასტრო კოდი N 66.45.27.120) - დევნილთა გრძელვადიანი განსახლების ობიექტი), განაშენიანების გენერალური გეგმის და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა კონკურსის (N1442) საშუალებით.

**სატენდერო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:**

**სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:**
- გრიგოლ გიორგაძე — მინისტრის პირველი მოადგილე, სატენდერო კომისიის სხდომის თავმჯდომარე

**სატენდერო კომისიის წევრები:**
- შოთა რეხვიაშვილი — მინისტრის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე
- ბესარიონ ბუჩუკური — საფინანსო დეპარტამენტის უფროსი
- კახაბერ პეტრიაშვილი — იურიდიული დეპარტამენტის უფროსი
- კახაბერ ჩხარტიშვილი — ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი
- ირაკლი დიხამინჯია — განსახლების ობიექტების ტექნიკური ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსი
- მურად აბლოთია — დევნილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსი

**სატენდერო კომისიის აპარატის წევრები:**
- ირაკლი თოფურია — სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი
- ნოდარ ყოჩიშვილი — მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი
- გიორგი კევლიშვილი — ტექნიკური ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი
- ნინო მენთეშაშვილი — საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენდაციით უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი
- მაიკო მიქაია — სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი

მივლინებაში ყოფნის გამო, კომისიის სხდომას არ ესწრებოდა, კომისიის წევრი - გვანცა შენგელია.

## დღის წესრიგი:

სამინისტროს მიერ ქ. გორში, მოსკოვის ქუჩაზე არსებული 8 971.0 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი (საკადასტრო კოდი N 66.45.27.120) - დევნილთა გრძელვადიანი განსახლების ობიექტი), განაშენიანების გენერალური გეგმის და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე მიმდინარე კონკურსში (N1442) კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების შერჩევა/შეფასება.

**საკონკურსო კომისიამ მოისმინა:**

საკონკურსო კომისიის აპარატის წევრმა მაიკო მიქაიამ საკონკურსო კომისიას წარუდგინა სამინისტროს მიერ 2014 წლის 26 დეკემბერს გამოცხადებულ კონკურსში (N1442) მონაწილე კონკურსანტების მიერ დალუქული კონვერტებით წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია, მან აღნიშნა, რომ კონკურსში მონაწილე კონკურსანტებისთვის საკონკურსო წინადადებების მიღება დასრულდა 2015 წლის 08 იანვარს, 15:00 საათზე;

კონკურსში (N1442) მონაწილეობდა და თავისი საკონკურსო წინადადება წარმოადგინა სამმა კონკურსანტმა:

1. შპს „არკო 04“;
2. შპს „დიზაინკომპლექსი“
3. შპს „არტკუბი“;

სხდომაზე აღინიშნა, რომ საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილია დალუქული კონვერტებით, საკონკურსო განცხადებით განსაზღვრულ ვადებში. საკონკურსო კომისიის სხდომის მიმდინარეობისას კომისიის აპარატის მიერ, საკონკურსო კომისიის წევრების თანდასწრებით განხორციელდა ზემოაღნიშნულ კონკურსებში მონაწილე კონკურსანტების მიერ გამოგზავნილი დალუქული კონვერტების გახსნა და მასში არსებული საკონკურსო დოკუმენტაცია განხილვისათვის გადაეცა საკონკურსო კომისიის წევრებს.

## საკონკურსო კომისიამ განიხილა:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ მიმართა დამსწრეებს და განუმარტა, რომ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნების თანახმად, მას შემდეგ რაც ცნობილი გახდა კონკურსში მონაწილე კონკურსანტის ვინაობა, საკონკურსო კომისიის წევრები და საკონკურსო კომისიის აპარატის წევრები ვალდებულნი არიან წერილობით დაადასტურონ, რომ შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

საკონკურსო კომისიის წევრები ხელმოწერებით დაეთანხმნენ ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ ხელწერილის მოთხოვნას.

საკონკურსო კომისის წევრებმა შეისწავლეს კონკურსანტების მიერ დალუქული კონვერტით წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია, რის შემდეგაც, დაასახელეს კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების ფასები.

1. შპს ,,არკო 04"- ესკიზური პროექტის ფასი - 25 000.00 ლარი;
2. შპს ,,დიზაინკომპლექსი" – 38 000.00 ლარი;
3. შპს ,,არტკუბი" – 44 000.00 ლარი;

საკონკურსო კომისიის წევრებმა განიხილეს კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია და აღნიშნეს, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანებით დამტკიცებული ,,კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის" მე-6 მუხლის მეორე პუნქტის ,,ბ" და ,,გ" ქვეპუნქტის თანახმად, საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
,,ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი."

შპს ,,არკო 04"-ის მიერ წარმოდგენილ კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული არ არის შპს ,,არკო 04"-ის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი, ასევე, შემსყიდველი ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანებით დამტკიცებული ,,კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის" შესაბამისად, საკონკურსო წინადადება, რომელიც შეიცავს დარღვევით წარმოდგენილ კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

საკონკურსო კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ კონკურსში მონაწილე კონკურსანტს საკონკურსო დოკუმენტაციის 2.1. ქვეპუნქტის თანახმად, უნდა წარმოედგინა შესყიდვის ობიექტის ფასი დღგ–ს ჩათვლით, ხოლო შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ქ. გორში, მოსკოვის ქუჩაზე არსებული 8 971.0 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი (საკადასტრო კოდი N 66.45.27.120) - დევნილთა გრძელვადიანი განსახლების ობიექტი), განაშენიანების გენერალური გეგმის და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდება. შპს ,,არკო 04"-ის საკონკურსო წინადადება შეიცავს მხოლოდ ესკიზური პროექტის ფასს (25 000.00 ლარი) და არა შესყიდვის ობიექტის მთლიან ღირებულებას.

საკონკურსო კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ შპს ,,არკო 04"-ის საკონკურსო წინადადება, ექვემდებარება დისკვალიფიკაციას, ხოლო დანარჩენი კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი ტერიტორიის განაშენიანების ესკიზური პროექტი გადაეცეს სამინისტროს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენდაციით უზრუნველყოფის სამმართველოს, რომელიც შეისწავლის და მომდევნო საკონკურსო კომისიის სხდომაზე წარმოადგენს თავის მოსაზრებას კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შესახებ.

## საკონკურსო კომისიამ გადაწყვიტა:

1. კონკურსში (N1442) მონაწილე კონკურსანტის, შპს ,,არკო 04"-ის საკონკურსო წინადადება, დისკვალიფიცირებულ იქნას;

[illegible] მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების შეფასება მოხდეს

3. სამინისტროს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენდაციით უზრუნველყოფის სამმართველომ მომდევნო საკონკურსო კომისიის სხდომაზე წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები კონკურსანტების მიერ წარმოდგენილ ტერიტორიის განაშენიანების ესკიზური პროექტის შესახებ.

**სატენდერო კომისიის თავჯდომარე**

გრიგოლ გიორგაძე

**სატენდერო კომისიის წევრები:**

შოთა რეხვიაშვილი

ბესარიონ ბუჩუკური

ირაკლი დიხამინჯია

კახაბერ პეტრიაშვილი

კახაბერ ჩხარტიშვილი

მურად აბლოთია

**სატენდერო კომისიის აპარატის წევრები:**

ირაკლი თოფურია

ნოდარ ყოჩიშვილი

გიორგი კევლიშვილი

ნინო მენთეშაშვილი

მაიკო მიქაია

# ხელწერილი

## ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 9 იანვარი 2015 წ.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნების თანახმად, ქვემოაღნიშნული პირები ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ 2014 წლის 26 დეკემბერს გამოცხადებულ კონკურსში **(N1442)** ჩვენი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

**სახელმწიფო შესყიდვის ობიექტი:**
ქ. გორში, მოსკოვის ქუჩაზე არსებული 8 971.0 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი (საკადასტრო კოდი N 66.45.27.120) - დევნილთა გრძელვადიანი განსახლების ობიექტი), განაშენიანების გენერალური გეგმის და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა.

სატენდერო კომისიის თავჯდომარე

გრიგოლ გიორგაძე

სატენდერო კომისიის წევრები:

შოთა რეხვიაშვილი

ბესარიონ ბუჩუკური

ირაკლი დიხამინჯია

კახაბერ პეტრიაშვილი

კახაბერ ჩხარტიშვილი

მურად აბლოთია

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები:

ირაკლი თოფურია

ნოდარ ყოჩიშვილი

გიორგი კეველიშვილი

ნინო მენთეშაშვილი

მაიკო მიქაია

06/01/2015

ოპერ 11001 1678

| | |
|---|---|
| გადამხდელი | იოსებ ტვილდიანი, 01024012639 |
| გადამხდელის ანგარიში | GE98BR0099994501000023 |
| გადამხდელის ბანკი | ქ.თბილისი, სს ბანკი "რესპუბლიკა" |
| ბანკის კოდი | REPLGE22 |

**საბიუჯეტო გადახდა - ინფორმაცია გადასახადის გადამხდელზე**

| | |
|---|---|
| დასახელება | იოსებ ტვილდიანი |
| საიდენტიფიკაციო კოდი | 01024012639 |
| მიმღები | ხაზინის ერთიანი ანგარიში. სსიპ/ა(ა)იპ (სსიპ -სახელმწიფო შესყიდვების სა |
| მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი | 707797130 |
| მიმღების ბანკი / ხაზინა | ქ.თბილისი, "სახელმწიფო ხაზინა" |
| ბანკის კოდი | TRESGE22 |
| გადახდის დანიშნულება | სსიპ -სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ სატენდერო დოკუმენტაციის გამოქვეყნების საფასური |
| დამატებითი ინფორმაცია | იოსებ ტვილდიანი უნიკალური ნომერი1442 შემს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახ და ლტოლვილთა სამ 220101222 |

ხელმოწერები

**თანხა**

50.00 GEL

თანხა სიტყვებით

ორმოცდაათი ლარი 00 თეთრი

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი 06/01/2015

გატარებულია ბანკის მიერ 06/01/2015

REPUBLIC

REPLGE22

48/10